,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2015 წლის 5 ოქტომბრის №190/01-01 ბრძანების საფუძველზე ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებული პროფესორების კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 9 ნოემბრის №119/2015 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის

**ოქმი N3**

ქ. თბილისი 28 ნოემბერი 2015 წელი

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი - 1. თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. თამარ აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. მაია მესტვირიშვილი (კომისიის მდივანი); 4. დავით ძიძიგური; 5. დავით ჩარკვიანი

**დღის წესრიგი:**

,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ" რექტორის 2015 წლის 5 ოქტომბრის №190/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ კონკურსში **მონაწილე კონკურსანტების შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და მათი დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კენჭისყრის ჩატარება.**

**მოისმინეს:**

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ თამარ გაგოშიძის და კომისიის წევრების მოკლე ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის შესახებ, აგრეთვე გასაუბრებაზე კონკურსანტების გამოსვლის შედეგები.

კომისია ასევე გულდასმით გაეცნო გასაუბრების შედეგების ამსახველი ოქმის შინაარსს და შეფასების ორივე ეტაპის შედეგების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსანტების საკითხი დადგა ფარულ კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად გამოვლინდა, რომ:

1. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორის თანამდებობაზე ლალი სურმანიძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 5, წინააღმდეგი - 0.

2. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორის თანამდებობაზე იამზე კუტალაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრეა – 5, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებ გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

კომისიის მდივანი: ასოცირებული პროფესორი მაია მესტვირიშვილი